**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 292 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 292

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

იბეჭდება და საშობაოდ დაურიგდებათ მეორე პრემიათ „ივერიისა" „აღდგომა" (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა, იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც 1 თებერვლამდე შემოიტანეს თითო თუმანი.

✦ სადღესასწაულო საჩუქარი ✦

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში

«**ქართველ ქალთა წრის**» მიერ გამოცემული

„ზღაპრები"

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მანეთად 30 კაპ.

**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

ახალი გამოცემა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

საქართველოს კალენდარი

1905 წ.

კალენდარი შეიცავს 620 გვ.—კალენდარი დასურათებულია 88 სურათით.—გარდა სხვა მრავალის წერილისა და ცნობისა კალენდარში მოთავსებულია ვრცელი **სალიტერატურო** განყოფილება შემდეგის შინაარსით: სამშობლოსამდი, ევდოშვილისა.—უცხოეთიდან, მისივე.—ყურყუმალაები, აკაკისა.—გოდება ებრაელთა, მისივე.—სიმღერა, ახობაძისა.—საახალწლო სურათი, ნ. ნაკაშიძისა.—მადნის მთხრელები, კ. ჯაფარიძისა.—პატარა სიმღერები, დ. მეგრელისა.—სდუმს არე მარე, ახოსპირელისა.—გოდება მაგდალინელისა, განდეგილისა.—ჩემს მეგობრებს, კ. გოგოლაძისა.—მწარე ღიღინი, შ. მღვიმელისა.—ეკალი მისივე.—შილლერი, ი. გომართელისა.—ბატონყმობა ჩვენში.—გლეხების განთავისუფლება.—პ. სპენსერი.—ნ. მიხაილოვსკი.—შორეული აღმოსავლეთის საქმეები.—ქალი და მისი განათლება.—სიონიზმი და სხ.

ფასი კალენდრისა 70 კაპ.

**გამოვიდა და იყიდება აგრეთვე ყველგან**

1) ვრცელი კედლის კალენდარი, ფასი 50 კაპ.
2) ქართულ სიტყვიერების ისტორია, ა. ხახანაშვილისა, ფასი 1 მ. 25 კ.
3) რჩეული ლექსები ქართველ პოეტებისა, წ. II. ფასი 25 კაპ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს,

კასსა «Location»-ის კასირ-ქალის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას მიიღებენ**: ქ-ნნი ტულლერი, მიხაილოვისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი

კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **მანდარინის შვილი»**, მუსიკა ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

**კ**ვირას, მომავალის წლის იანვრის 9, ტფილისის სასოფლო საეურნეო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზედ, დანიშნულია პირველი საგანგებო კრება ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შემდეგის საგნების განსახილველად:

1) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

2) საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

3) დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა.

(5—1)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვაჩნაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

**ალექსი-მესხიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ბ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5 7 საათ.

**ხ. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардьяна* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

**პორტ არტური.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ატყობინებენ, რომ იაპონელებმა პორტ არტურთან ერთი უცნობი ფორტი ხელთ იგდეს 3 ზარბაზანი, 11-ის ფორტზედ 4, ვანტაის ფორტზედ 7 და შუნშუნშანის ფორტზედაც 7, სულ 21 ზარბაზანი.

—

იმავ სააგენტოს ბერლინიდგან ატყობინებენ: ტოკიოდგან ოფიციალურად იუწყებიან, რომ პორტ არტურის მეციხოვნე ჯარი იაპონელებს აღარ ეწინააღმდეგებაო. ამ ამბავმა ბერლინში ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

—

იაპონიის ელჩმა ლონდონში გამოაქვეყნა: გენერალი ნოგი იუწყება, რომ რუსებმა თვითონვე ააფეთქეს ტუნგივანშანისა და «მასს»-ის ფორტები. იაპონელებმა ბრძოლა შეაჩერეს, რადგან მეციხოვნე ჯარმა და იაპონელებმა მოლაპარაკება გამართეს. (პ. ტ. ა.).

იაპონელთა ელჩმა ლონდონში მეორე დეპეშა გამოაქვეყნა: გენერალი ნოგი იუწყება, რომ გენერალ სტესელის პირობა მივიღეო. პორტ არტურის ჩაბარების შესახებ მოლაპარაკებას სტესელისა და ნოგის წარმომადგენლები გამართავენ (პ. ა.).

—

ტოკიოდან იუწყებიან, რომ მარშალმა იამაგატომ იაპონიის იმპერატორის ბრძანებით დღეს, 20 დეკემბერს გენერალ ნოგის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: იაპონიის იმპერატორი დიდათ აფასებს გენერალის სტესელის თავგანწირულებასა და სამშობლოსადმი ერთგულებას და ამიტომ სურს, რომ მას შესაფერის პატივისცემით დაუხვდნენ. (პ. ა.).

—

**„ომის უმთავრესი ასპარეზი მანჯურიაა და არა წყნარი ოკეანე".** «ნოვოსტი დნია»-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: «ომის უმთავრეს ასპარეზად ის ადგილი ითვლება, სადაც მოპირდაპირეთა უმთავრესი ძალა დგას. იაპონიის უმთავრეს ძალას ლაშქარი შეადგენს და არა ფლოტი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ლაშქარს, მაგრამ ლაშქრისთანა მნიშვნელობა მაინც არა აქვს. რომ უსაბუთობა არავინ დაგვაბრალოს, ჩვენის აზრის დასამტკიცებლად ორ მოსაზრებას წარმოგიდგენთ:

პირველი—იაპონიის ლაშქარი მანჯურიაში დამარცხდა და რუსის ლაშქარი ფეხ-და-ფეხ მისდევს ზღვისაკენ, სამაგიეროდ იაპონიის ფლოტი ზღვაში ბატონობს და ზღვის გზა სრულიად თავისუფალია.

მეორე—იაპონიის ლაშქარი მედგრად უხვდება რუსის ლაშქარს, ერთ ჩიჩქნა დაჭერილ ადგილს არ უთმობს, სამაგიეროდ ადმ. ტოგოს ფლოტი დამარცხდა და ზღვის გზა მოეჭრა მარშალ ოიამას ლაშქარს.

განა ცხადი არაა, რომ პირველ შემთხვევაში წააგებენ ომსა? რა სარგებლობას მოუტანთ ზღვის გზა, რაღას უშველით ადმ. ტოგო? არაფერს იმის გარდა, რომ მარშალ ოიამას ჯარს ცოტა რამ დახმარებას თუღა გაუწევს, გემებში ჩასხმისა და იაპონიაში გასტუმრების დროს.

სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება, თუ მეორე შემთხვევას გავარჩევთ. ამასთანავე ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ შემთხვევაში იაპონიის ლაშქარი მხოლოდ პასიურ წინააღმდეგობას უწევს რუსის ლაშქარს, (მაშასადამე იაპონიის არმია რომ თითონ დაეცეს რუსის ლაშქარს და დაამარცხოს, ამ გამარჯვებას ხომ უფრო მეტი გავლენა ექნება ომზე. რა მოხდება მაშინ? გინდ იაპონიის ფლოტი დამარცხდეს, სამაგიეროდ მთელი კორეია და მთელი ლიაოდუნი წინანდებურად იაპონელების ხელში იქნება. რა ნაირად და რით განდევნით იქიდან? საზრდო და სამხედრო სურსათი დააკლდებათ? მაგრამ განა შეიძლება სერიოზულად იმისი თქმა, რომ რუსის ფლოტი ბეჯითად დაიცავს ზღვის ნაპირებს რამდენისამე ათას მილის მანძილზე? მგონია, საკმაოდ გამოვარკვიეთ, რომ ეს შეუძლებელი საქმეა. იაპონიის ლაშქარი ლიაოიანსა და კორეიაშიაც ბევრს სურსათს იშოვის. ნუ დაგავიწყდებათ ჩინეთიც. მარშალ ოიამას დღესაც დიდძალი საზრდო და სურსათი მოსდის ჩინეთიდან. თუ ეს სწორეა, მაშ განა ცხადი არაა, რომ უმთავრესი მნიშვნელობა იაპონიის ლაშქარს აქვს? ერთი და ერთი სამუდამოდ და გარკვევით უნდა შევიგნოთ, რომ ეხლანდელ ომში ის გაიმარჯვებს, ვინც მოწინააღმდეგეს ლაშქარს დაამარცხებს, ეხლანდელ ომის ბედი უმთავრესად ხმელეთზე გადასწყდება იქ სადაც ლაშქრები დგანან. რაც უნდა ძლიერ გააზვიადონ უმნიშვნელო ამბები, ამით საქმის ძირითად საფუძველს ვერ შესცვლიან. ტყუილად ოცნებობენ ზოგნი, ვითომ რუსეთი ბრძოლას იაპონიის კუნძულებზე გადაიტანს და ტოკიოს კარებზედ „ოლეგის ფარს" მიაკრავსო (რუსის დიდ მთავარ ოლეგს უწინ კონსტანტინოპოლი აეღო და ქალაქის კარებზე თავისი ფარი მიეკრა). ეჭვი არაა ამნაირ პროექტების ავტორები მეტად მწყრალად არიან საღ გონებასთან და სინამდვილეს არაფერ ყურადღებას არ აქცევენ.

ზემო მოხსენებიდან მგონია, ცხადია, რომ.

1. ეხლანდელ ომის უმთავრესი ასპარეზი მანჯურიაა და ლიაოდუნის ნახევარ კუნძულია.

2. გამარჯვებულად ის ჩაითვლება, ვინც ხმელეთზე გაიმარჯვებს საბოლოოდ.

—

**კორეიაში.** «დეილი ტელეგრაფ»-ს დეპეშით ატყობინებენ სეულიდან: ამ ბოლოს დროს ჩრდილოეთ კორეიაში იაპონელებმა ბევრ შეტაკებაში გაიმარჯვესო. რუსის მოწინავე რაზმების უფროსს გენერალს მთავარი სადგომი მდ. იალუს სათავეს ახლო ერთ სოფელში აქვს გამართულიო. იაპონიის ჯარის (კორეიაში) უფროსის გენ. ხაზეგავას მთავარ სადგომიდან ტელეფონია გაყვანილი კორეის იმპერატორის სასახლემდე.

სეულიდან ატყობინებენ „ნიუ-იორკ ჰერალდ"-ს: იაპონიის მეციხოვნე ჯარი სეულში ძლიერ შეაცოტავეს; ჯარი ჩრდილოეთისაკენ მიდის. მდ. იალუს შესართავი და ჩინამპოს ნავთ-სადგური გაიყინა. იაპონელები ყინულზე ტრამვაის აშენებას აპირობენ კუნძულებამდე, რომ სატრანსპორტო გემებიდან მიღებული საქონელი გადაიტანონ ხოლმე ნაპირზე. (ნ. დ.).

—

**გულის ინციდენტი.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრიდან კიდევ 4 აფიცერი წასულა პარიჟში. „მატენ"-ის კორესპონდენტს ერთი ამ აფიცერთაგანი, ტრანსპორტ „კამჩატკა"-ს მენალმე აფიცერი, ლეიტენანტი ვალრონტი უნახავს და გულის ინციდენტზე ულაპარაკნია. ვალრონტს უთქვამს, 8 ოკდომბერ ღამეს ელექტრონის პროჟექტორი მე თითონ მივანათე მეთევზეთა ფლოტილიას და კონტრ ნაღმიან-გემებს. რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ ეს ნაღმიანი გემები, ძნელი სათქმელია, რადგან ყველა სახელმწიფოს ნაღმიანი გემები ერთმანეთსა ჰგვანან; ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს იაპონიის ნაღმიანი გემები იყო, მხოლოთ ის ვიცი, რომ ეს რუსის გემები არ იყო. კორესპონდენტს უთქვამს, კაპიტანი კლადო ირწმუნება, 8 ოკდომბერს ჩემის თვალით დავინახე იაპონიის ნაღმიანი გემებიო. ლეიტენანტ ვალრონტს მიუგია,—მე მაინც ჩემ აზრზე ვდგევარო (ნ. დ.),

## ახალი ამბავი

—

**არჩევნები ქუთ. საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში.** როგორც ადგილობრივ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, 19 დეკემბერს მოხდა არჩევნები ქუთ. საურთიერთო ნდობის საზოგ. თავმჯდომარისა და დირექტორებისა. წინანდელმა თავმჯდო-

მარემ თავ. პავლე თუმანიშვილმა კენჭის ყრაზედ თურმე უარი განაცხადა. დირექტორებმა: თავ. კირ ბ. ლორდქიფანიძემ და ბ-ნმა ქუთათელაძემ თანხმობა განაცხადეს ყუთის დადგმაზედ, მაგრამ ორივენი გაშავებულ იქმნენ. კრებამ აირჩია ერთხმად: თავმჯდომარედ—თავ. სიმონ ლორთქიფანიძე; დირექტორებად—თავ. ნესტორ ერისთავი და ბ-ნი გიორგი აკოფოვი.

*** † ექიმი ანანოვი. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 16 დეკემბერს, ტფილისში გარდაიცვალა ქალაქის საბჭოს ხმოსანი ექიმი ს. ი. ანანოვი, რომელიც 20 წელზე მეტი საბჭოს ხმოსნად იყო და მონაწილეობას იღებდა მრავალს კომისიაში. განსვენებული იყო აგრეთვე კავკასიის სამკურნალო საზოგადოების თავმჯდომარედ.

*** მკვლელობა. «ნოვ. ობოზრ.»-ს შუშიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ 19 დეკემბერს, შუადღისას, ქალაქის შუაგულში, აუარებელ მოსეირნე ხალხის თვალწინ, რევოლვერით მოუკლავთ ხარჯის ამკრები ინსპექტორი შჩერბაკოვი. მკვლელნი ორნი ყოფილან; ხალხის ჩოჩქოლისა და აურ-ზაურის დროს ორივენი შეუმჩნევლად გაქცეულან.

*** მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა კავკასიაში ცხოვრება აუკრძალა ერევნის გუბერნიის ქ. გუმბრის მცხოვრებთ: არუთინ გეურქას ძეს ხირხიროვსა და ოჰანეზ გეურქას ძეს სანოიანცს, როგორც საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და წესიერებისათვის მავნე კაცთ. ზემოხსენებულთ კავკასიაში ცხოვრება სამუდამოდ აღეკრძალათ.

*** განკარგულება მოახდინეს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზიდგან დაუყოვნებლივ გაიგზავნოს იმიერ-ბაიკალის რკინის გზაზედ სათადარიგო კონდუქტორთა სამი ბრიგადა.

*** სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ.-ლეიტ. მალამამ სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა ამ რამდენისამე ხნის წინად დონის როსტოვში გადასახლებულს სოხუმის მცხოვრებს ბ-ნს ანთიმოზ ჯუღელს, რომელიც სოხუმის საბჭოს ხმოსნად იყო.

*** სამეურნეო ბანკი სამტრედიაში. უმაღლეს. მთავრობას დაუმტკიცებია წესდება სამტრედიის სამეურნეო ბანკისა.

*** ფოთიდგან გვწერენ: არ იქნა, ვერ მოვისვენეთ აქაურ ქურდ-ბაცაცებისაგან. ან რა მოგვასვენებს, როდესაც პოლიცია ხელს უწყობს თარეშობას. ნეტავი ამდენ თარეშობის ნება, რამდენიც აქაურ ქურდბაცაცებსა აქვთ, სიმართლეს მისცემოდა, რომელიც მიაღწევდა ადრე თუ გვიან თავისს მისწრაფებას.

ამას წინად ერთ ქართველ გლეხ კაცს ჯიბგირებმა ჯიბიდგან ამოაცალეს 25 მანათი; საწყალი გლეხი დაედევნა შორიახლო თავის გამძარცველს, პოლიციელი შეხვდა, ისიც გაიყოლია და შეიპყრო იქვე, ა. ბ ს სამიკიტნოში. პოლიციელმა დაუწყო ყვირილი: რისთვის წაართვი საწყალ გლეხს ფულიო? ჯიბგირმა უთხრა: ბატონო, თუ მაგის მომქმედი ვიყო, შუაზედ გამჭერო. შემდეგ თუმცა პოლიციელმა თითო ოროლა თავში წაუთავაზა, მაინც დაუყვირა, დაიკარგე აქედანაო! ჯიბგირი მაშინვე გაიქცა, შემდეგ მიუბრუნდა გლეხს და უთხრა: ხომ ჰხედავ იმ კაცმა არ აღიარა დამნაშავედ თავის თავიო და ამიტომ დაჭერის ნება არა მაქვსო. საწყალი გლეხი გამოვიდა გარედ და ტირილით დაიძახა: «ეგ არის სამართალი?». როგორც იქ მდგომმა გადმოგვცა, შუაზედ გაჭრა თურმე ამოცლილ ფულის შუა გაყოფას ჰნიშნავს. 9 დეკემბერს ორმა მოხალისე პოლიციელმა იერიში მიიტანა ვიღაც ორ ქალზე; იერიშის მიზეზი უბილეთობა იყო, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. მეორე და მესამე ჯერაც სცადეს იერიშის განახლება, მაგრამ ამაოდ. დაიჭრა ერთი პოლიციელი. შემდეგ მიეშველა მეორე პოლიციელი და კვლავ განაახლეს იერიში. გაიმართა ხელ ჩართული ბრძოლა, რომელმაც გასტანა ნახევარ საათი; შემდეგ პოლიციელებმა ტყვედ ჩაიგდეს ხელთ ორივე ქალი და დიდის დავლით დაბრუნდნენ პოლიციისაკენ.

*** კაცის-კვლა. ყვირილაში მოუკლავთ ამას წინად ზავგოროდნი, რომელიც წინად სურამში იყო სამოსამართლო ბოქაულად. იქ რაღაც საქმე შეემთხვა, ვგონებთ, კაცის-კვლა დაჰბრალდა და დაითხოვეს კიდეცა და სამართალშიაც მისცეს. შემდეგ როგორღაც თავი გაიმართლა, აქციზის მოხელეობა იშოვნა, მაგრამ აქაც ფეხი გადაუბრუნდა და ამ ბოლოს დროს ყვირილაში იყო უსაქმურად. რაღაც საწინააღმდეგო დაბეჭდილს ქაღალდებს ავრცელებდა ხალხში, მაგრამ ხალხი ხელს არ ჰკიდებდა, "შენი არა გვინდარაო". ამბობენ, ხალხს ძრიელ ეჯავრებოდა ზავგოროდნი. მკვლელნი დახვედრიან გზაში, დაუციათ თოფი და იქვე გაუთავებიათ. მამა მადლობელი თურმეა ბედისა, რომ ასე მოხდა, ქვეყანა გადამკიდა, მომაძულაო. დასაფლავებაზედ კაცი არ მიჰკარებია, თითო-ოროლა მოკეთის მეტი.

---

## ტირასპოლის ეპარქიის კათოლიკეთა ახალი ეპისკოპოსი იოსებ კესლერი.

იოსებ კესლერი დაიბადა 1862 წ. სოფ. ოტროგოკაში (ღურსაში) სარატოვის ახლოს. ჩამომავლობით გერმანელია. მამას პეტრე და დედას ელისაბედი ჰრქმევია; დედა შლეინდერის ასული ჰყოლია.

იოსები პატარაობიდგანვე სასულიერო მიმართულების მოყვარული ყოფილა და ამიტომაც მშობლებს 15 წლისა შეუყვანიათ ტირასპოლის მცირე სემინარიაში. 4 წლის შემდეგ იოსები უფრო მაღალ სემინარიაში გადასულა და საუცხოვოდ თურმე სწავლობდა. 1883 წ. მისცეს ალსავალი და მეოთხე წელს კი მთავარდიაკვნად აკურთხეს.

სემინარია-დამთავრებული იოსები კერძოდ მოემზადა და 1885 წ. პეტერბურგის კათოლიკეთა სემინარიაში შევიდა, სადაც 3 წელს დაჰყო. თვისის ნიჭისა და ბეჯითობის წყალობით, ღვთის მეტყველების კანდიდატად შესრულა უმაღლესი სასწავლებელი. 1889 წელს აკურთხეს მღვდლად და იმავე დროს მაგისტრობაც მიანიჭეს. ამავე დროს დაჰნიშნეს სარატოვის საკათედრო ვიკარათ. ორის წლის შემდეგ გადაიყვანეს სიმფეროპოლში წინამძღვრად 1895 წ. სალციაში (ხერს. გუბ.), სადაც 4 წელს მართავდა თავის სამწყსოს დიდის ენერგიით. აქ ჯერ რამდენიმე თხზულება დასწერა სღვთისმეტყველო და სოციალურის შინაარსისა. 1899 წ. კიშინევში (ბესარაბიაში) გადაიყვანეს, სადაც 1903 წლამდის დარჩა.

ტირასპოლის ეპისკოპოსმა ბ. დ. როოპმა, რაკი შეჰნიშნა კესლერის კეთილი ღვაწლი და ენერგია, იმავე წელს, 28 აპრილს, გადაიყვანა სარატოვის სემინარიაში და მიანდო ჯერ მცირე სემენარიის მეთვალყურეობა და მასთანვე პროფესორობა, ხოლო მერე ინსპექტორადაც დანიშნა. ამავე წლის 25 აპრილს ვიკარნი გენერლობა დ ასისორობა (კონსისტორიის წევრობა) მიანიჭეს. პიო X-მ 30 მარტს 1904 წ. ეპისკოპოსის ხარისხად აღიყვანა.

მესხი კ. გვარამაძე.

---

## სვანეთში ორის კვირით *).

### XXVIII.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სვანეთში ბევრი რამ შესანიშნავი ნივთი დაგვრჩა უნახავი. ბევრი რამ საინტერესო ვითარება დაგვრჩა აღუნიშნელი. შორიდგან მისული კაცი ყოველთვის შეხვდება სვანეთში ახალახალ ნივთებს. თუ ასე მდიდარია სვანეთი ძველის ისტორიულის ნაშთებით, არა ნაკლებ სიმდიდრეს წარმოადგენენ თვით სვანები თავისის უძველესის ზნეჩვეულებებითა და ცხოვრებით. ამ მხრივ ყოველი ეტნოგრაფი და ანტროპოლოგი ულეველს მასალას იპოვის სვანეთში. სვანები მეტად მამაპაპურად, მეტად თავისებურად სცხოვრობენ, მათი შეხედულებაც სვანეთის გარეშე ხალხთა ცხოვრებაზედ თავისებურია. ამ ორის წლის წინად (1902 წ.) ს. ბეჩოში მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია ერთი საქმე: მძიმე დანაშაული ჰბრალდებოდა ერთს სვანს. ბრალდებულს იცავდა ვექილი გელაზაროვი. ვექილი ბევრს ეცადა ეშველა რამე საცოდავი სვანისათვის, მაგრამ სვანს შესაფერი სასჯელი გადაუწყვიტა მოსამართლემ. განაჩენი რო მოისმინა, სვანი მიუბრუნდა და უთხრა მოსამართლეს— „შენ გაგიხმეს ხელი"! ვექილს—„შენ გაგიხმეს ენა"! და გამოვიდა გარეთ.

*) იხ. „ივერია" № 268.

მთელ სვანეთში ჩვეულებაა: 5 იანვარს დარეცხავენ ტანისამოსს, დახეხენ სახლის ავეჯეულობას და მთელ დღეს მარხულობენ. დაღამებისას გაშლიან სუფრას და დააგებენ სამარხო საჭმელს, რაც კი რამ გააჩნიათ; დაანთებენ სანთელს და კარებს დახურავენ. თითქმის ერთ საათს ყველანი ხმა-გაკმენდილები—ჩუმათ არიან, ჩვენი მიცვალებულები აქ არიანო. ასე იქცევიან ოთხ საღამოს და 10 იანვარს რო დაღამდება, გააღებენ კარებსა, გაშლიან სუფრას და სანთლითა და არაყით გააცილებენ მიცვალებულებს და სთხოვენ—«ახლა კი მიბრძანდითო» თან არაყს შეექცევიან და უმატებენ: შენდობა უხარი, გვიშგვე უდგარი, ღმერთო შენდობა მიეც ჩვენ მიცვალებულებსა".

აღდგომას, ახალწელიწადს და ნათლისღებას სვანები შესაფერად ვერ დღესასწაულობენ. ფარისეველ-მეზვერის კვირიდგან ხორციელის კვირამდე მთელ სვანეთში დიდი განცხრომაა, როგორც ჩვენში აღდგომას, ახალწელიწადს: ყველა ამ დროსთვის ასუქებს ღორსა, ხარსა და სხ. გიორგობისთვიდგანვე.

სვანების წარმოდგენით აღდგომის ბრწყინვალე კვირის პარასკევს ღმერთმა პირი დაიბანა. მეორე დღეს, შაბათს, ანგელოზები შეირია ერთად კვერცხითა და ყველითაო. თვით კვირაცხოვლობა დღეს კი დიდმა ღმერთმა შეირია ხორცითაო. ამ დღეს სვანები ხარსა ჰკლავენ და დროს მხიარულად ატარებენ.

ს. ფარში სცხოვრობს 18 კომლამდე სვანეთში პატივცემული საგვარეულო ვიბლიანებისა. ამ საგვარეულოში დაცულია ძველადგანვე ფრიად შესანიშნავი თქმულება: «ჩვენ (ვიბლიანები) შორიდგან ვართ მოსრულნი, სადაც წმ. გიორგი სცხოვრებდაო. იქიდგან (კაბადუკია) ჩვენი მამა-პაპა ილორში (აბხაზეთი) მოვიდა და წმ. გიორგის ხატი თან მოასვენა, რადგან წმ. გიორგი ჩვენი გვარისა იყოვო. ჩვენი მამა-პაპა ილორიდგან აქ მოვიდა და მას აქეთ ვიბლიანები აქა ვცხოვრებთო. დღეს ვიბლიანებს აქვთ საკუთარი უძველესი საგვარეულო წმ. გიორგის ხატი; იგი აბარია საგვარეულოში უფროს კაცსა. ძველადგან ვიბლიანებს შეუნახავთ ჩვეულებად ამ ხატით დალოცვა, ანუ დაწყევლა მოყვერეთა და მტერთა. ამიტომ ყოველი სვანი დღემდე ერიდება ვიბლიანების წყენასა და მტრობასა—წმ. გიორგის ხატით არ დაგვწყევლონო. თვით დადეშქელიანთა გვარის კაცნი დღემდე პატივსა სცემენ ვიბლიანების გვარსა წმ. გიორგის ხატისა გამო.

ძველად რომ საქართველოს მეფენი და თავად-აზნაურნი ემოყვრებოდნენ—ენათესავებოდნენ ჩერქეზეთსა და ოსეთსა, და დღეს ეს მშვენიერი ჩვეულება ერთობისა შესწყდა,--სვანეთში დღესაც კი ხშირი მისვლა—მოსვლაა და დღესაც ხშირია მოყვრობა ჩერქეზეთისა და ოსეთისაკენ. ჩვენი პატივცემულის ბ-ნ თათარყან დადიშქელიანის და კესა-ხანი გათხოვილი იყო ოსეთის ს. ბახსანში, ადილგერ ჩეფელიშვილზედ.

### XXIX.

სვანეთის ხელნაწერები გვაძლევენ უმდიდრესს, მრავალგვარს მასალას ქართულის ძველი პალეოგრაფიისათვის. ხელნაწერთა არშიებზედ მე X საუკუნიდგან დაწყებული XIX საუკუნამდე განუწყვეტლივ იპოვება მინაწერები ხუცურის და მხედრულის ასოებით. პალეოგრაფიის მხრივ ფრიად შესანიშნავია ლატალის სახარების მინაწერი, რომელიც განსვენებულ დ. ბაქრაძეს თავის მოგზაურობაში აღნიშნული აქვს № 22, როგორც მეტის-მეტად ძნელი გასარჩევი ხელით დაწერილი და უწოდებს ყვავ-ფრჩხილოვანს [1]). ეს მინაწერი დიდის დაკვირვების შემდეგ, როგორც იყო, ამოვიკითხე: «+ წმიდაო ღედოფალო დაბადებულთაო, რომელმან გჳშვ ქრისტე ღმერთი ჩუენი: ესე შესაწირავი დ̃ა უნდოჲ მსახურებაჲ ჩემ გლახაკისა ცოდვილისაგან მიითვალე და შეიწყალე სული ჩემი ცოდვილი, და ყოველნი რომელნი იმსახურებდენ ამათ წმიდათა საკითხავითა...» [2])

თვით ეტნოგრაფიულნი, გეოგრაფიულნი, და სხ. სვანეთში დაცულნი სახელწოდებანი ფრიად საყურადღებონი არიან საისტორიო მეცნიერებისათვის. მაგ. საიდგან შემოვიდა სვანეთში მესტიის ძველი სახელი—«სეტია?» რათ დაერქვა მესტიის წმ. გიორგის ხატს «სეტისა?».

[1]) იხ. «Сванетія» Бакрадзе, გვ. 85.

[2]) ეს წ რწერა პირველად არის წაკითხული ჩვენგან.

მესტიის წმ. გიორგი (სეტისა) ძველადგან ისრეთივე სათაყვანებელი სიწმიდეა მთელი სვანეთისათვის, როგორც უშკულის ლა-მარია, დ კალაში ლა-გვირკა. მთელი სვანეთის საერო დროშა (ლომი) და დროშის თავი ვერცხლისა—აქ სეტის წმ. გიორგის საყდარში ასვენია ძველადგან. ჩვენ ვფიქრობთ რომ წოდება «სეტი» სვანეთში უძველესია და სვანებს თან შემოუტანიათ უძველეს დროშივე—სამხრეთიდგან. ისტორიიდგან, ვიცით რომ მეგვიპტელთა ღმერთთა შორის ერთს ერქვა სეტი, რომელმაც მოიგონა სამარი იარაღი დ ასწავლა თავის მორწმუნეებს იარაღის ხმარება. ამიტომ შემდეგში ეგვიპტელებმა აღიარეს სეტი ბრძოლის, ომის ღმერთად. ეგვიპტელთა მეფე სეტი იყო რამზესის შვილი და ეომებოდა ეხლანდელი კაბადოკიის უძველეს მკვიდრთა სახელოვან ხეტელთა სამეფოს და თვისი სახელი სა-ლოცავად დაუდო. რა თქმა უნდა სვანებმა კაბადოკიიდგან გადმოიტანეს საკერპო კულტი სეტისა და ქრისტიანობის მიღების დროს ეგ კულტი მიაკუთნეს ქრისტიანობის უძლიერესს კაბადუკიელს მხედარს წმ. გიორგის—ქართველს. მეგვიპტელთა მეფე რამზესი რომ ეომებოდა ხეტელებს და მათი დამორჩილება გაუჭირდა, გაწვრთნილი ლომები მიუსია და თავზარი დასცა საცოდავებს. იქნება წმ. გიორგის სეტის სამხედრო დროშა ლომის სათავეც აქედგან იყოს? ეგვიპტეში, მდ. ნილოსის (იარო) მარცხენა ნაპირს, მდებარებდა უძველესი ქალაქი სუსნი. ამაზედ და სხ. შემდეგ გვექნება ცალკე საკუთარი საუბარი.

მღ. პოლ. კარბელაშვილი.

(დასასრული ხვალ).

---

# საქართველო

## სოხუმი.

ათვალწუნებული ქართული.—სკოლა, ეკკლესია და თეატრი.—28 ნოემბრის წარმოდგენა.

არა მგონია სადმე ისე ათვალ წუნებული იყოს ქართული ენა, როგორც სოხუმში. აქ იშვიათად-ღა ნახავთ ისეთს ოჯახს, სადაც ქართულს ლაპარაკობდნენ. ეს საბრალო ენა განსაკუთრებით ათვალისწუნებულია ახალ მოდის «მამაშა-პაპაშების» მიერ, რომლებიც დიდად სათაკილოდ სთვლიან, თავიანთ ყმაწვილებს ქართულად ელაპარაკონ.

სამწუხარო სურათი გეხატებათ წინ, როდესაც ქართულს ოჯახში ქართველი ბავშვები უცხო ენაზე გაძლევენ პასუხს ქართულს კითხვაზედ და თანაც ისეთის თვალებით უცქერიან დედას, ან მამას, რომ თითქო უსაყვედურებენ, რატომ ჩვენც არ გვასწავლეთ ჩვენი დედა-ენაო, მაგრამ ახლა ხომ დედა ენაზედ ლაპარაკი გაუნათლებლობის ნიშნად აქვს ყველას მიჩნეული და, მაშასადამე, ვის უნდა სურდეს, რომ გაუნათლებლად ეჩვენოს ხალხს?!

დიაღ! ამ ნაირმა შეხედულებამ და სხვა უკუღმართმა ვითარებამ ლამის სულ გააქროს ქართული ენა და თან წაიღოს ქართველი ოჯახები, თუ რომ ღონისძიება რამ არ იქმნა მიღებული.

ასეთ მდგომარეობაში დღეს დიდს სარგებლობას მოგვიტანდა ქართული სკოლა, ეკკლესია და თეატრი, მაგრამ სკოლისა და ეკკლესიის ქონება სოხუმში ჯერ საძნელო საქმეა და ამისთვის ერთად ერთი იმედი მხოლოდ თეატრზეა დამყარებული.

ეს ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლიან დაგვიბრუნოს ქართული ენა და ქართული ოჯახი, თუ რომ, რასაკვირველია, საქმე გონივრულად იქმნა წაყვანილი და ამისათვის ადვილი წარმოსადგენია, რა დიდს სამსახურს უწევენ საზოგადოებას ისინი, რომელნიც ემსახურებიან სცენის საქმეს.

ეს კარგად იცის სოხუმის ქართველმა საზოგადოებამ და იმისთვის არის, რომ ზეციურ მანანასავით ელის ქართულს წარმოდგენებს, რომლებიც ეგრე იშვიათი შეიქმნა სოხუმში ალაგის უქონლობის გამო.

როგორც ვიცით, ერთად ერთი ალაგი, სადაც წარმოდგენები იმართებოდა, კლუბის დარბაზი, დაიწვა და მოთამაშეთ უბრალო სახლებში უხდებათ წარმოდგენების მართვა, ადვილი გასათვალისწინებელია, რა სიძნელეს წარმოადგენს უბრალო სახლში და შეუფერებელს სცენაზე თამაში, მაგრამ ეს ყველაფერი დასძლიეს 28 ნოემბერს ჩვენმა სცენის მოყვარულებმა, კნ. მარიამ დავითის ასულის შერვაშიძის შემწეობით და არტისტ ქუჯის დახმარებით. ამ დღეს პატივცემულ კნ. შერვაშიძის მიერ წარმოდგენა იყო გამართული სხვა და სხვა საქველ-მოქმედო აზრით. წარმოდგენილ იყო «სიძე-სიმამრი», კომედია სამს მოქმედ. ვ. გუნიასი და „რაც არ მერგება—არ შემერგება", ვოდევილი მისივე.

მონაწილეობას იღებდნენ კნ. ნინო დადიანისა, ქ. ქ. მაჭავარიანისა, კიწ. მარაშვილისა და გვახავასი. ბ.ბ. ქუჯი, ხოხიაშვილი, საფაროვი კეჭეყყაძე და კოზმავა.

წარმოდგენა გამართულ იქმნა ადგილობრივს საბჭოს დარბაზში და თუმცა არც სცენისათვის ამაღლებული ალაგი მოიპოვებოდა და არც საჭირო დეკორაციები, ეს ყველაფერი თვით მოთამაშეებმა და კნ. შერვაშიძისამ გააკეთეს და ისე მშვენივრად მოაწყვეს ყველაფერი, რომ, უბრალო დარბაზი ნამდვილ თეატრად იქმნა გარდაქცეული: მშვენივრად მორთული სცენა, შესაფერი დეკორაციები და სხვ... იქამდე აქეზებდა მოთამაშეთ, რომ თითქმის ყველამ მშვენივრად შეასრულა თავისი როლი და საზოგადოებაც უხვად აჯილდოვებდა მათ ტაშის კვრით. დარბაზი, სადაც წარმოდგენა იყო გამართული, სრულიად გაჭედილი იყო ხალხით და ბევრი ადგილის უქონლობის გამო უკან დაბრუნდა გულ-დაწყვეტილი.

აქ ყველაფერი რიგზე იყო მოწყობილი, წარმოდგენაც-კი ჩვეულებრივზე ადრე იქმნა გათავებული (თორმეტის ნახევარზე), რომ საზოგადოება ძალიან არ მოქანცულიყო. დიდის მადლობის ღირსია კ-ნა მარიამ დავითის ასული შერვაშიძისა, რომელმაც არავითარი შრომა არ დაიშურა, რომ საქმე რიგიანად წაეყვანა.

როგორც შევიტყეთ, პატივცემულს კნეინას ახლო მომავალში სახალხო წარმოდგენა უნდა გამართოს და იანვარშიკი ქართული საღამო, თუ რომ ადგილობრივი ინტელიგენციაც ხელს შეუწყობს კ-ნა შერვაშიძისას და შეასრულებინებს ამ კეთილს განზრახვას შემოსავალი გარდადებული იქმნება სოხუმის მომავალ სკოლის სასარგებლოდ, რომლის დაარსებაც გარდაწყვეტილი აქვს «წერა-კითხვის საზოგადოებას».

კოდო.

---

## ქართული საღამო მოსკოვში.

მე-XXX ქართულ საღამომ, რომელიც გაიმართა მოსკოვში 28 ნოემბერს, ბ-ნ ალ. სუმბათიშვილის გამგეობით, ღარიბ ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ, ჩვეულებრივ სასურველად ჩაიარა როგორც ნივთიერისა, ისე გარეგნულის შთაბეჭდილების მხრივ.

ის გარემოება, რომ თუმცა მრავალი გარეშე ხელის შემშლელი მიზეზებიც იყო, წლევანდელმა საღამომაც გაამართლა მოლოდინი, ცხადად ჰმოწმობს, რაოდენად აქეთ დამსახურებული საზოგადოების პატივი და თანაგრძნობა ქართულს საღამოებს მოსკოვში. რომ მომავალშიაც შევინარჩუნოთ ეგ თანაგრძნობა, საჭიროა ქართულ საღამოებს მიეცეს მოსიარულე საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაფერი შინაარსი. საღამოს ჰმართავს ქართველი სტუდენტობა, ესწრება განსაკუთრებით ინტელიგენცია. ამ ვითარებაში უეჭველია საღამოს შინაარსს დიდი მნიშვნელობა ეძლევა. საზოგადოების უმრავლესობა ქართულ საღამოებს ეტანება არა მარტო იმისათვის, რომ თვალს წყალი დაალევინოს, მოისმინოს საყვარელის მსახიობის ტკბილი ხმა, ჰნახოს «დემონიური ქართველი» „გიშრის თვალწარბა თამარი", არამედ გაიცნოს რამდენადმე ქართველის ერის თვისებანი და ყოფაცხოვრება.

საზოგადოების წყურვილის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ქართულ საღამოებს მიეცემა საქველმოქმედო აზრთან ერთად უფრო მეტი იდეიური და ეროვნული ხასიათი, ვიდრე აქამდე იყო.

ვინც კი დასწრებია ქართულს საღამოებს მოსკოვში, დამეთანხმება, რომ ამ საღამოების პროგრამმაში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს რუსულის კომპოზიტორებისა და მწერლების ნაწარმოებთ. «ქართულს», და ისიც მხოლოდ მისს მსგავს, წარმოადგენს ათიოდე სიმღერა, ათიოდე ჩოხა-ქულაჯა და ლეკური.

რიგიანის ეროვნულის ტანისამოსის უქონლობით ზოგიერთი, გარდა ხუთიოდესი, იძულებულია ისეთის ტანსაცმელით გამოვიდეს სალამოში, რომელიც სრულიად შეუსაბამოა. ხორო იმოსება ოპერა «დემონისათვის» დამზადებულის ტანსაცმელით, რომელიც ადგილობრივ არის შეკერილი და მოკლებულია ყოველ გვარ შნოს. ქართული სიმღერებიც ერთობ კოჭლობს ქართულს სალამოებზე. ამით არ მინდა უსაყვედურო ლოტბართ, რადგან ვიცი, თუ რა დიდს შრომას ეწევიან ხოროს მომზადებისთვის. ისეთ კეთილსინიდისიერ მუშაკებზედ, როგორიც ბ.ბ. დიმ. არაყიშვილი და ფალიაშვილია, რომლებიც ლოტბარობდნენ აქ ქართულ სალამოებზე ხოროს ამ უკანასკნელ წლებში, ცუდის თქმა დიდი ცოდვა იქნებოდა. მაზეზი ხოროს სისუსტისა არის ის გარემოება, რომ მისნი მონაწილენი სხვა ეროვნების წარმომადგენელნი არიან, რომელთაც უძნელდებათ ქართულის მუსიკის ინდივიდუალურ თვისებათა გარდმოცემა

გენიოსური მუსიკალური ნაწარმოებიც ვერ ჰმოქმედობს მსმენელზედ, თუ მსახიობმა არ ჩაუდგა სული და არ ჩააწნა გრძნობა. სულის ჩადგმა ჩვენს სიმღერებში შეუძლიანთ მხოლოდ ჩვენისავე მიწა-წყლის შვილებს, რომელთათვის მშობლიურია ის ჰირ-ვარ ამი, რითაც საზოგადოდ გამსჭვალულია ჩვენი მუსიკა.

თქმულის შემდეგ მკითხველი მიხვდება ცოტათი მაინც, თუ რას წარმოადგენენ ქართული სალამოები მოსკოვში და, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ საჭიროა ჩვენი საზოგადოება დაეხმაროს სტუდენტობას, რათა სალამოების საქმენი ჯეროვანად მოეწყოს და გაწეული შრომა უფრო დაფასდეს და სალამოებში მოსიარულე საზოგადოებაც უფრო ნასიამოვნები დარჩეს. ქართულის სალამოების აზრი ისაა, რაც პირდაპირი მოვალეობაა ჩვენის საზოგადოებისა. ამ აზრის განხორციელება თხოულობს ეროვნულს ფარგალს და, რაც უფრო ფართო იქმნება ეგ ფარგალი, მით უფრო შეულახველი იქმნება ეროვნული თავ-მოყვარეობაც, რომლის დაცვა სავალდებულოდ მიაჩნია ყოველს ერს, ვისაც ჰქონია წარსული და ვინც მომავალს იმედით შესცქერის.

რადგან ნივთიერიცა და უმაღლესი ინტერესიც გვაიძულებს სალამოები ვმართოთ, ბარემ ისე გავმართოთ ხოლმე, რომ დამსწრე საზოგადოებამ გაიცნოს ჩვენის ერის ქარტეხილიანი წარსულიცა და დღევანდელი მაჯის-ცემაცა...

ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ღარიბი ნაწილი შეიძლებდეს საკუთარის შრომით და ამხანაგების დაუხმარებლად ცხოვრებას და სწავლის მიღებას. რიცხვი უმაღლესს განათლების მიღების მსურველთა, სასიხარულოდ, ყოველ წლობით მატულობს, აგრეთვე მატულობს პროცენტიც ღარიბ მოსწავლეთა. ამ ორს წელში მოსკოვის მოსწავლე ქართველობას შეეძინა 40-მდე ახალი წევრი და, ვინ იცის, რამდენი კიდევ დარჩა შინ, სამშობლოში, უსახსრობის გამოისობით. უეჭველია, ქართულ სალამოების რიგიანად მოწყობა ბევრს ახალგაზდას აღმოუჩენდა ნივთიერს წყაროს. მაშასადამე, სალამოების უკეთ მოწყობა ისეთი საქმე არ არის, რომ აბუჩად დავიჭიროთ და დიდი ყურადღება არ მივაქციოთ. ეს საქმე მთლად ქართველობის საქმეა და არა მარტო მოსწავლე ახალგაზდობისა...

დიმ. ბ—ია.

—

P. S. წრევანდელ სალამოში განსაკუთრებით მოსაწონი იყო დეკორაციები, რომელიც მაყურებელს მოუთხრობდა ჩვენის სამშობლოს დიადის ბუნების ამბავს. მადლობის მეტი რა ეთქმით იმათ, ვინც თავის მონაწილეობითა და შრომით ათქმევინებს პოეტს:

Москвичъ размыкалъ тамъ кручину,
Отвѣдалъ онъ восточныхъ грезъ;
И неимущему грузину,
Онъ лепту братскую принесъ.

სალამოში მონაწილეობის მიმღებთა სია უკვე იყო გაზეთში დაბეჭდილი.

დიმ. ბ—ია.

# რუსეთი

— აბო ბერნებორის გუბერნატორის განკარგულებით სამოქალაქო ფისკალმა, ვალლენმა, აბოს სასამართლოში უჩივლა ქალს ელისაბედ გრიპპენბერგს, რომელსაც საზღვარ გარეთიდგან ფინლიანდიაში აკრძალულ ლიტერატურის შემოტანა ბრალდებოდა. გრიპპენბერგი სტოკჰოლმიდგან აბოს დაბრუნდა. საზღვარზედ ბარგი გაუსინჯეს და 202 ფურცელი პროკლამაცია უპოვეს. აბოს სასამართლომ ეს საქმე გაარჩია და დაადგინა: ამ საქმის გარჩევა აბოს სასამართლოს არ შეეხებაო. საქმეს სხვა სასამართლოში გადაიტანენ. (ფ. გ.).

— პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა შნიტნიკოვმა და კედრინმა კრებაზედ განცხადება შეიტანეს და თხოულობდნენ, რომ ქუჩებში უწესოებათა მოსასპობად კანონის ძალით მეეზოვებს არ უნდა იწვევდნენ, ნამდვილათ კი პოლიცია ახლო-მახლო სახლების მეეზოვეთა გარდა ქალაქის ყველა კუთხიდგან შეჰკრეფავს ხოლმე პოლიციელებსაო. მეეზოვების საქმე, კანონის ძალით, სახლებისა და ეზოების ყურის გდებაა. საბჭომ ამ საგნის გამოსარკვევად ცალკე კომისია ამოირჩია და მის დადგენილებას მთავრობას გადასცემს (რ. ვ.).

— ეკატერინოსლავის გუბერნატორის განკარგულებით ბერდიანსკის პოლიცმეისტერი და 1-ლ ნაწილის ბოქაული პასუხისგებაში მისცეს, რადგან ერთმა. ბოქაულმა პოლიციის სადგომში ქალი გააუპატიურა. როგორც აღმოჩნდა, ეს პოლიციელი პოლიცმეისტერს ჯაშუშად ჰყავნდა პოლიტიკურ დამნაშავეთა აღმოსაჩენად. ზემოხსენებული შემთხვევა—ქალის გაუპატიურებისა პოლიციამ მიჩქმალ-მიმალა, მაგრამ სამის თვის შემდეგ ეს ამბავი შეიტყო ყირიმის გუბერნატორმა, რომელმაც ბერდიანსკში ამ ამბის გამოსაძიებლად ცალკე მოხელე გაგზავნა (პ. კ.).

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

—

მკითხველს, უეჭველია, ეხსომება, რომ ამ ერთის თვის წინად საზღვაო კაპიტანმა კლადომ ადმირალ როჟესტვენსკისა და ბალტიის მესამე ესკადრის შესახებ «ნოვ. ვრ.»-ში რამდენიმე ფრიად საყურადღებო წერილი დასწერა. კლადო ამტკიცებდა, რომ როჟესტვენსკის ესკადრა დამარცხდებაო, რომ როჟესტვენსკის მესამე ესკადრისთვის უნდა მოეცადნა და, თუ რუსეთი აქამდის მარცხდებოდა და შემდეგშიაც დამარცხდა, ყველა ეს მხოლოდ ბიუროკრატიზმისა და ხავს მოკიდებულ «კანცელიარიზმ»-ის ბრალიაო. საზღვაო მინისტრმა კაპიტანი კლადო „ფაკტების დამახინჯებისთვის“ 15 დღით დააპატიმრა. კლადოს წერილის შემდეგ, იმავე გაზეთში ბალტიის ფლოტის უფროსმა, ადმირალმა ბირილიოვმა დაბეჭდა ერთი წერილი, რომლითაც ყველას სთხოვდა: ეხლა გაჩუმდით, ეხლა ნურაფერს ნუ სწერთო. ვისი ბრალია ჩვენი დამარცხება?—ჰკითხულობდა ადმირალი ბირილოვი და პასუხს იქვე იძლეოდა: ყველანი დამნაშავენი ვართ; მეცა, კაპიტანი კლადოც, ტვერდოცა და სხუყველანიც. ეხლა დამნაშავის ძებნის დრო არ არის, ეხლა უნდა გავჩუმდეთ და წერასა და დამნაშავის ძებნასაც თავი უნდა დავანებოთ. აი, როცა ომი გათავდება, მაშინ, რამდენიც გნებავთ, სწერეთო.

კეთილი და პატიოსანი, —ამბობს «ნოვ. ვრ.»-ის ფელეტონისტი, ბ. მენშიკოვი, —მაგრამ ომის გათავების შემდეგ ომზედ წერა ცოტა დაგვიანებული არ იქნება? ომის შემდეგ ამ ომზედ წერა განა იგივე ომის შემდეგ თოფის სროლა არ არის? აბა, ერთი ომის დროს გონების მუშაობას თავი დავანებოთ და მაშინ ვნახავთ, რითაც გათავდება ომი. თუ უთვალსავე ჩვენს ძალას ომის დროს გონებასა და მეჯნიერებას ჩამოვაცლით, შემდეგშიაც ის დაგვემართება, რაც უკვე თერთმეტის თვის განმავლობაში გვემართება, ე. ი. განუწყვეტელი დამარცხება.

ადმირალი ბირილოვი სწერდა, ომის გათავების შემდეგ, რაცა და რამდენიც გნებავთ—სწერეთო, მაგრამ

ვითომ ომის შემდეგ მართლა უველაფრის წერის ნებას მოგვცემთ! ომის დაწყებამდის ბ. კლადოს წერილები უფრო საჭირო იყო, ვიდრე ომის დაწყების შემდეგ, მაგრამ ამ გვარი წერილები ვერ იბეჭდებოდა. კლადოს წერილების ბეჭვდა შეიძლება მხოლოდ ეხლა, ომის დროს, მხოლოდ იმ უბედურების შემდეგ, რომელიც რუსეთს ეწვია, მხოლოდ მაშინ, როცა ფლოტიცა და პორტ არტურიც დაიღუპა და ამასთან მაშინ, როცა შიშმა შეგვიპყრო, ვაი თუ ბრძოლა წავაგოთ, დავმარცხდეთ და ჩვენი პირვანდელი მნიშვნელობა და გავლენა დავკარგოთო. მხოლოდ ეხლა ეწვენა ქვეყანას ზოგიერთი მწარე სინამდვილე და ჭეშმარიტება.

კლადო სწერდა, როჟესტვენსკის ესკადრა იაპონიის ესკადრაზედ თითქმის ორჯელ სუსტია და ამიტომ დამარცხდებაო. ადმირალი ბირილიოვი კი ამტკიცებდა, მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გამარჯვება იმას კი არ დარჩება, ვისაც ძლიერი ფლოტი ჰყავს, არამედ იმას, ვისაც მეტი გამბედაობა და სამშობლოისადმი სიყვარული აქვსო.

ნუ თუ ამის თქმა 28 ივლისისა და 1 აგვისტოს ჩვენის დამარცხების შემდეგ შეიძლება? იმ ბრძოლის დროს რუსებს გამბედაობა კი ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროთ არც ნამდვილი ანგარიში, არც საჭირო ზარბაზანი და არც კარგი ჯავშანი არა ჰქონიათ. ადმირალი ბირილოვი საფუძვლიანის ფაქტების უქონლობისა გამო «გამბედაობისა», «სამშობლოსადმი სიყვარულისა» და «სულის სიძლიერის» შესახებ გაცვეთილ სიტყვებს იმეორებს. იაპონელები რუსებს შეიძლება ბევრს რამეში დაგვავარდნენ, მაგრამ გამბედაობასა, სულის სიძლიერესა და სამშობლოსადმი სიყვარულში კი არ დაგვივარდებიან. ჩვენ ეხლა სპარსელებს როდი ვეომებით. «რუსეთის სულიერ სიმტკიცით ამ ჯოჯოხეთურ ბრძოლაში ვერავის ვერ გააკვირვებთო», ამბობს ადმირალი, მაგრამ კარგი სულიერი სიმტკიცეა, ღმერთმან იცოდეს, როცა თვითონ ბირილიოვი სწერს: «თქვენის წერილების ზედგავლენით საზოგადოებამ თავი ჩაჰქინდრა». უჰ, როგორ ეშინიათ სიმართლის! მაგრამ დამერწმუნეთ, რომ საზოგადოებას საგაზეთო წერილებმა კი არ ჩააქინდრინეს თავი, არამედ რუსეთის დამარცხების სირცხვილმა. ცად მელანი კი არ დადის, არამედ უნაყოფოდ დაღვრილი სისხლი. ომში წამსვლელთ სულიერს სიმტკიცეს ჩვენ, მწერალნი, კი არ უკარგავთ, არამედ ჩვენი მოუმზადებლობა, დაუდევრობა, უყურადღებობა, გულ-გრილობა და მტრის დასახვედრად საჭირო უნარის უქონლობა. ყველა ეს ჩვენმა მოხელეებმა ჩვენზედ უფრო კარგად იციან. საშინელი, სიტყვა კი არა ფაქტია! ღმერთო ჩემო, როდის დადგება ის დრო, როცა ჩვენის გაუნათლებლობით თავის მართლებას თავს მივანებებდეთ და თავისავე თავის მოტყუებას გამარჯვების ნიშნად არ ვსთვლიდეთ.

# თეატრი და ხელოვნება

—

## ქართული კონცერტი.

ვერავინ ვერ იტყვის, რომ გუშინ-წინ გამართულს კონცერტს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, ისეთი ხასიათი ჰქონოდეს, როგორათაც სჩვევია საქველმოქმედო სალამოებს თუ წარმოდგენებს. საქმე იმაშია, რომ მაყურებელი თუ მსმენელი იმ სასიამოვნო განცდასთან ერთად, რომ მან თავისი მცირე წვლილი შესძლვნა ამ საშვილი-შვილო დიად საქმეს,—გრძნობდა აგრეთვე სრულ ესტეტიურ კმაყოფილებას და მის გულის სიღრმეში იძვროდა მადლით აღსავსე იმედი, რომ ქართული მუსიკალური ხელოვნება თან და თან ფეხს იკიდებს.

ან როგორ შეიძლება, ასე არ იყოს, თუ კი ჩვენს ერს სასიცოცხლოდ უცემს მაჯა და არა სასიკვდილოდ.

თვით ჩვენი დიადი ბუნება, მრავალფეროვანების მშვენიერებით გაბრწყინებული, დაუსრულებელი მელოდიაა, რომელსაც უნდა უეჭველად აღეძრა მის კიდეთა შორის მცხოვრებ ხალხის გულში ხმანი საამონი, საგმირონი, მანუგეშებელნი, სასომიმხდელნი... და ასეც არის: ხალხის გულის სიღრმეში ისმის ეს ხმები და საჭირონი არიან მხოლოდ ისეთი კაცნი, რომელნიც მიხვდებოდნენ ამ გულის საიდუმლოებას.

და აი, სწორედ ბ-ნ ზ. ფალიაშვილს, შეიარაღებულს საჭირო ცოდნით და სიყვარულით ხელოვნებისადმი, მოუკიდნია ხელი ამ საიდუმლოთა გამოსარკვევ საქმისათვის.

ბ-ნ ფალიაშვილის სამსახური ჩვენის მუსიკისადმი ჯერ-ჯერობით იმით გამოიხატება, რომ იგი ხალხურ სიმღერებს ნოტებზედ აწყობს სასიმღეროთ და საორკესტროთ. ასეთი მსახურება საზოგადო ასპარეზზედ ნაყოფიერია, რადგანაც ერთხელ და სამუდამოდ დაცული იქნება ის ხმები, რომელიც შეუქმნია ხალხის შეერთებულ შემოქმედობით გენიოსობს, და აღარ დაიკარგება მერმისისათვის. ამასთან ერთად ბ-ნის ფალიაშვილის მოღვაწეობას ახალი მხარე აქვს, რაც აქამდის სხვა ჩვენ მემუსიკეთა შრომას არ ეტყობა და აი რა: იმას გარდა, რომ ბ-ნი ფალიაშვილი სავსებით იცავს ამა თუ იმ მუსიკალურ ფრაზის დედა—ხმას, თუ ასე შეიძლება ითქვას, მელოდიას, იგი თვით, დამოუკიდებლად, ასურათებს მას ორკესტრის საშუალებით შესაფერ ხმათა და საკრავთა შერჩევით. ასეთი ჰარმონიზაცია, თუ დამატებითი დასურათება ორკესტრის მიერ მთავარ-სიუჟეტისა, ისე რომ ეს უკანასკნელი განმეორებული არ იყოს ორკესტრში—იმას გარდა რომ ამშვენიერებს ამ სიუჟეტს,—ამასთანავე დასრულებულ, მთლიან პიესად ჰქმნის. ამისათვის, რაღა თქმა უნდა, საკმარისი არ არის მარტო მუსიკალურ ტეხნიკის ცოდნა ან უნარი ხმათა შეთვისებისა და სწორედ გადაღებისა,—არამედ საჭიროა მუსიკალური ალღო, რომლის საშუალებით შეეძლოს სული და გული გამოსცნოს ამა თუ იმ მელოდიისა და შეუთხზა დამატებითი საორკესტრო ჰანგი.

ბ-ნ ფალიაშვილს ასეთი თხზვა საორკესტრო ჰანგებისა ეხერხება; განსაკუთრებით ხელოვნურია გურულ «ალიფაშა»-ს საორკესტრო ჰანგი. ერთში არ ვეთანხმებით პატივცემულ მემუსიკეს, ეს იმაში, რომ სპილენძ-საკრავებს თითქმის უპირატესობა ეტყობათ დანარჩენ საკრავებთან შედარებით. ძალიან მოხერხებით არის შერჩეული სკრიპკების ხმები, გურულ კრინ-მანჭურის გამოსახატად ხმარებული. ბ-ნ ფალიაშვილს «ალიფაშა» (იგივე ხელხვავი) ალბად შემოკლებული მოუსმენია და სწორედ ამით აიხსნება, რომ ეს ხმა მას «მარშად» გადაუქცევია. ხელხვავი, რამდენადაც მე მგონია, უფრო დარბაისლური სიმღერაა, და მეტსაც ვიტყვი, სადღესასწაულო ელფერით მოსილი.

სიტყვა გაგვიგრძელდა და ამასთანავე მოკლე წერილში ძნელია აღინიშნოს ყოველი მხარე გუშინწინდელის კონცერტისა, ამიტომ მოკლედ მოვსჭრი, იმ იმედით გამხნევებული, რომ ბ-ნი ფალიაშვილი კვლავ მოგვცემს შემთხვევას მისის მოღვაწეობის შესახებ საუბრისას მკითხველთან.

ძალიან საყურადღებოა ბ-ნ ყარაშვილის მელოდია «სამშობლო», განსაკუთრებით შუა ნაწილი; სამაგიეროთ რომანსი «რა ვქნა, შენი ჭირიმე» საკმაოდ მოისუსტებს, რადგან ქართული ელფერი სრულიად არა სცხია, იგი კროულ სიმღერას უფრო ჰგავს.

არ შეგვიძლიან მადლობით არ მოვიხსენიოთ ბ-ნნი ვილშაუპელივკა, რჩეულიშვილი, ტომაშევიჩი და მესხიშვილი, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა კონცერტში — პირველმა ორმა — სკრიპკასა და ვიოლონჩელზედ დაკვრით, მესხიშვილმა სცენების საუცხოვო წაკითხვით და დანარჩენებმა სიმღერით. სხვა და სხვა რომანსების გარდა, ბ-მა რჩეულიშვილმა საამოდ დამღერა ხოროსთან ერთად ცნობილი «ნანა» და ერთი ორად გააძლიერა ამ ჰანგის მშვენიერი გამომეტყველება.

კონცერტს დაესწრო დიდძალი საზოგადოება, რომელიც ერთხმად იმ აზრისა იყო, რომ ბ-ნ ფალიაშვილის თვალსაჩინო და საპატიო მოღვაწეობა ყოველ გზით სათანაგრძნობია. ღმერთო შენითა!.. კონცერტის შემდეგ გაიმართა ცეკვა. საზოგადოება დილამდის არ დაშლილა.

# წერილი

## რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით, ფოთის სახალხო სამკითხველოს გამგეობის მონდობილებით, როგორც ერთმა წევრთაგანმა, სიმართლე აღვადგინო და ფოთის საზოგადოებას თავიდან ავაშორო ის ცილის წამება, რომელიც ბ. ნალველას იერიშით შემოაქვს თქვენს გაზეთის ფურცლებზე. «ივერიის» მე 271 №-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ფოთიდან ბ. ნალველასი, რომელიც თავის წერილით ფოთელებს უკიჟინებს: „შავი ზღვის მოამბეს“ აღმერთებენო, რათ გვინდა „ივერია“, რა საჭიროა „ნოვოე ობოზრენიე“, „ცნობის ფურცელი“, ან „ლისტოკი“ ან სხვანი. ვის ეკადრება სხვა გაზეთები, „ბზის ჯოხის“ გაზეთია, რაც არისო! ამას ისიც ამტკიცებს, რომ სამკითხველოში არც ერთი გაზეთი არ მოიპოვება, გარდა «შავი ზღვის მოამბისაო». სწორეთ ბრმა უნდა იყოს იმ ადამიანის თვალთა ხედვისისარი, რომ ფოთის სახალხო სამკითხველოში შევიდეს და ვერ დაინახოს ყველა ის თანამედროვე გამოცემანი, რომელნიც სამკითხველოს ამკობენ. განა თქვენს პატივცემულ რედაქციას უკეთ არ მოეხსენება, ეგზავნება «ივერია» აქაურ სამკითხველოს თუ არა. კორესპოდენტის დასაჯერებლად იმ კორესპოდენტის, რომელსაც რედაქცია შეცდომაში შეჰყავს და სიმპატიურ დაწესებულებას უსაფუძვლოთ კიცხავს, აქვე გატყობინებთ, თუ რამდენი ჟურნალ-გაზეთი მოსდის ჩვენს სამკითხველოს: «ივერია», «ცნობის ფურცელი», «მოამბე», «ჯეჯილი». და «მოგზაური»; რუსულ გამოცემებიდან: „Русскія Вѣдомости“, С.-Петербургскія Вѣдомости“, „Новое Время“, „Наша Жизнь“, „Тифлискій Листокъ“ и „Черноморскій Вѣстникъ“. ჟურნალთაგან: Русская мысль“, Русское Богатство“, „Вѣстникъ Европы“, „Нива“, „Міръ Божій“, „Русская Старина“, და „Вѣстникъ Иностран. Литературы“. როგორც ხედავთ, ფოთის სახალხო სამკითხველოს იმდენი ჟურნალ-გაზეთები მოსდის, რომ ამით ყველა სამკითხველოს შეუძლია იამაყოს და არა სხვას გააკიცხვინოს თავი. მაშ რათ დასჭირდა «ნალველას», რომ გაზეთისათვის ასეთი სიცრუით სავსე კორესპოდენცია გაგზავნა? თუ არ იმისთვის, რომ შური უძიოს!.. შემდეგ გვეკითხება: «ეს სამკითხველო მართლა სამკითხველოა, თუ მხოლოდ წიგნების და ჟურნალ-გაზეთების შესანახი შენობაა?!.. ჩვენის აზრით, ორივეა, მხოლოდ თქვენ მიერ შემდგარი ყალბი არზით, ბ. «ნალველა», რომელსაც ჩხავილი სჯობნის ტურისა, არც ერთი. და ბოლოს ამბობს: «აქაური «სამკითხველო» სამკითხველო არ არისო. აბა, სადა აქვს საწყალ ღარიბ ხალხს იმოდენა შეძლება, რომ აქაური სამკითხველოთი ისარგებლოს? სად შეუძლიან ყოველ წლიურად 8 მანეთის გადახდა, ხუთი მანეთი საწევრო ფული და სამი საწინდარი». ნეტა ვიცოდეთ მკითხველების დასაფთხობათ რათ ამოულია სამკითხველოს წესების მე-19 მუხლიდან მარტო 8 მანეთი გადასახადი იმ დროს, როდესაც პირველი რიგის მკითხველი, რომელიც სამკითხველოს წევრათ ითვლება, წელიწადში 3 მანეთს საწევრო გადასახადს იხდის და თუ ინებებს სახლში წიგნები და ჟურნალ-გაზეთები წაიღოს, 2 მანეთს საწინდარს დასტოვებს. საზოგადოთ სამკითხველოს აბონემენტით სარგებლობა სამ რიგათ არის გაყოფილი. მესამე რიგისას ეკუთნიან თვიურათ სამკითხველოში მოსიარულენი, რომელთაც ნება აქვთ 1-2 გაზეთი წაიღონ სახლში, იხდიან 20—30 კაპ. და 50 კ. საწინდარს. ხოლო დღიური გადასახდი სამკითხველოში შესასვლელად განწესებულია 2 კაპ., რომლის გადახდისათვის არამც თუ ღარიბებს, მდიდრებსაც არავინ აწუხებს. თუ სწუხართ ბ. «ნალველა» იმისთვის, რომ სამკითხველო სულ უფასო არაა, ამისთვის გაისარჯეთ და ჩვენი თუ არა გჯერათ, თვით პატივცემულ გაზეთ «ივერიის» რედაქციას ჰკითხეთ და ის აგიხსნით, თუ რა შევიწროვებულია უფასო სამკითხველოების წესდება, ჩვენ კი ამ საანბანო კითხვის განმარტებას არ შეუდგებით, რადგან ჩვენი სურვილია მკითხველებს ყველა საუკეთესო გამოცემანი მივაწოდოთ და არა ორიოდე გაზეთი, რომლითაც უფასოთ სამკითხველოებს მქლედ ასაზრდოებენ.

ფოთის სახალხო სამკითხველოს გამგეობის წევრი ი. კოხრეიძე.

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ზმ—ონ ზენოზნელს.** თქვენი ლექსი „ოცნება“ არ დაიბეჭდება.

**დ. ტ—ძის** თქვენი ლექსი სიზმარი არ დაიბეჭდება

**გ—ა. ვ. მ. ჯ—ის** გამოგზავნეთ ორი მანეთი ფოსტის ფულად და გაზეთი მოგივათ.

**ბარელს.** შემოიარეთ რედაქციაში, თუ დრო გქონდეთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

20 დეკემბერი

**ტოკიო**, 19 დეკემბერი. (რეიტერი). გამოცხადდა ტოგოს პროკლამაცია, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ პორტ არტურის ალყის მანძილი შევამცირეთო. დღეიდან ალყას ეჭირება ადგილი ტალიენშანის სამხრეთ კონცხიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ სამხრეთ კონცხამდე. ალყა არტყია მთლად ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს. ამ ჟამად ამ ნავთსადგურში შესვლა შეეძლებათ იმ გემებს, რომელსაც ნება ექმნებათ დართული.

21 დეკემბერი.

**ბარანოვიჩი**, 20 დეკემბერი. დილის 10 ს. ბარანოვიჩის სადგურზე მობრძანდა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის და ამალის თანხლებით. ბაქანზე ჯარი იდგა. ხელმწიფე იმპერატორი მიესალმა, მერე ჯარები მარშით გაატარეს და ელირსნენ მეფურს «მადლობას». შემდეგ მიულოცა ხელმწიფემ ჯარებს ომში წასვლა, უსურვა მშვიდობით დაბრუნება და დალოცა თვითოეული ხატებითა. გამოთხოვება საგრძნობელი იყო. სამეფო მატარებელი წავიდა ბაროვიჩს სადაც ხელმწიფე გამოემშვიდობა მე 16 არტილერიის ბრიგადას. მინსკის გუბერნატორის მეცადინეობით, ყველგან წესრიგი ჰსუფევდა.

**ტოკიო**, 20 დეკემბერი (რეიტერი). გუშინ იაპონელებმა იერიშით აიღეს ფორტი ვანტაი. ნოგის მოხსენებაში ვანტაის აღების გამო ნათქვამია, რომ შუაგულის და მარცხენა იაპონელთა რაზმებმა დილის 9 საათზე დაიწყეს იერიშობა და კარგად გამოიყენეს ყუმბარების სროლა, ჯარები შეცვივდნენ ფორტში და სამუდამოდ დაიჭირეს. იაპონელებს ხელთ ჩაუვარდათ შვიდი ზარბაზანი. მთელი ღამის განმავლობაში რუსებმა რამდენიმე ფორტი დასცალეს და დილით მომეტებული ნაწილი გემებისა პორტ არტურის ნავთსადგურში ააფეთქეს.

**ჩიფუ**, 20 დეკემბერი (რეიტერი). დღისით 7 საათზე ნავთსადგურში მოვიდა იაპონიის სამი დიდი კონტრ-ნაღმოსანი. რუსებმა გუშინ ორი თავისი ფორტი ააფეთქეს რკინის გზის ახლო, რადგანაც ხალხი და საომარი მასალა შემოაკლდათ, ამას გარდა რუსებმა ააფეთქეს «ბაიანი». კონტრ-ნაღმოსნები «სმელი» და «ბოიკ» გუშინ გამოვიდნენ პორტ არტურიდან. რა ბედი ეწიათ, არ იციან.

## საღამოს დეპეშები

21 დეკემბერი.

**პეტერბურგი** 21 დეკემბერი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის სტესსელისა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზედ: 1) «15 დეკემბრიდგან 1904 წელსა: ციხის მდგომარეობა თან და თან ძნელდება. ჩვენი უმთავრესი მტერი—სურავანდია, რომელიც ხალხსა სთიბავს, და თერთმეტ დიუმიანი ყუმბარები, რომელთაგან თავი ვერსად შეგვიფარებია და რომელთაც წინ ვერა უდგებარა. ხალხი ცოტაღა გადარჩა სურავანდსა. რაც კი საშუალება ჩვენ ხელთ არის, ყველა ვცადეთ, მაგრამ სურავანდი თან და თან ძლიერდება. იძულებით უმოქმედოდ ყოფნაა, მტრის თერთმეტ დიუმიან ყუმბარების ყველა მხრიდგან სროლა, პასუხის მიცემის შეუძლებლობა ტყვია წამლის ნაკლებობისა გამო, სურავანდი და მრავალ აფიცერთა დაზარალება—ყველა ესე ყოველ დღე აუძლურებს ციხის მცველებს. ჯარის უფროსთა ზარალის რაოდენობა ცხადათ ჰმოწმობს იმ აუარებელ დანაკლისს, რომელიც მოგვივიდა. ათი გენერლიდგან ორია მოკლული კონდრატენკო და ცერპიცკი, მოკვდა რაზნატოვსკი, დაჭრილია ორი-მე და გენერალი ნადეინი, გაკაწრულია გორბატოვსკი 9 პოლკის უფროსიდგან ორია მოკლული—პოლკოვნიკები—თავადი მაჩაბელი და ნაუმენკო, ჭრილობისაგან ორი მოკვდა—დუნიჩი და გლაგოლოვი, დაჭრილია ოთხი—განდურინი, სავიცკი, გრიაზნოვი და ტრეტიაკოვი. მოკლულია მოსამზღვრე დარაჯთა პოდპოლკოვნიკი ენტუსოვი, დაჭრილია მესამე სათადარიგო ბატალიონის უფროსი პოდპოლკოვნიკი პოკროვსკი. დაჭრილია ასისთავი ესაული კონცევიჩი; დაჭრილია საზარო არტილერიის პოლკოვნიკი ირმანი. საზარო ბატარეიების რვა უფროსიდგან პოლკოვნიკი პეტროვი მოკლულია; დაჭრილნი არიან პოლკოვნიკები—ლაფერაშვილი და რომანოვსკი, კაპიტანი ბენუა და პოდპოლკოვნიკი დობროვი. გაკაწრულები არიან—პოდპოლკოვნიკი საბლუკოვი და უფროსი 57 მილიმეტრიანი ბატარეიებისა კაპიტანი პეტრენკო. დანარჩენ შტაბ-ოფიცრებიდგან მოკლულ იქმნენ და დაიხოცნენ რამდენ-რამდენიმე. უფრო დიდი წილი დაჭრილია. ბევრს როტებს უბრალო პრაპორჩიკები უფროსობენ. საშუალო რიცხვით თითო როტაში 60 კაცი-ღაა. 5 დეკემბერს შემდეგ იაპონელები იერიშებს ვეღარა ჰბედავენ. გუშინ იმათ ააფეთქეს ნაღმი მეხუთე სიმაგრის ქვეშ. ოცამდე გამბედავი იაპონელი მაღლა აცვიუდნენ, და ყველანი ამოჟლეტილ იქმნენ ხიშტებითა და ხელის ყუმბარებითა, სამაგიეროდ იაპონელები დღე ღამე შეუწყვეტლივ ესროდნენ თერთმეტ დუიმიან ყუმბარებს განსაკუთრებით ქნენონებს და საავადმყოფოებს რაკი იცნოდნენ, რომ ყველა ჩვენი დაჭრილი გმირები ცოტაც არი მოკეთების შემდეგ ისევ ბრუნდებიან ხოლმე ციხის დამცველთა რაზმებში. ქსენონებში 14 ათასამდე დაჭრილი და ავადმყოფია და ყოველ დღე 300 კაცი ემატებათ.

2) დეპეშა 15 დეკემბრიდგან «გუშინ დილის 10 საათზედ იაპონელებმა ააფეთქეს მესამე სიმაგრის გალავანი, მერე საშინლად დაუშინეს ყუმბარა ჩვენს ჯარებს ყველა მხრიდგან, მეტადრე მესამე სიმაგრეს. შუა დღის 1 საათზედ თხრილიდგან და საფრთხილგან გალავანზედ აცვივდნენ. ორი იერიში მოგერებულ იქმნა, მაგრამ იაპონელებმა ხელთ იგდეს აფეთქებული ადგილი და მაშველი ჯარით გამხნევებული ჯგუფ-ჯგუფად გადმორბოდნენ თხრილზედ. შუადღის უკან 5 საათზედ დაიპყრეს გალავანი, ხოლო რომ შებინდდა ორ ბატალიონამდე შიგ ციხეში შევიდნენ. ჩვენები დალეწილი საფრიდგან ებრძოდნენ. ჩვენი ჯარის ერთი წილი ჩასაფრდა კაზემატებში, მაგრამ კაზემატების კარებ წინ იაპონელებმა ტყვიის მფრქვევლები მოუმართეს და ამით კაზემატებში მყოფთ მოუსპეს ყოველივე საიერიშოდ გამოსასვლელი საშუალება. ჩვენი მაშველი ჯარის სამი იერიში გარედგან ვერ მოხერხდა, რადგან თითო მისავალზე მეტი არ იყო და სიმაგრე იაპონელებს დარჩათ. ჩვენი ზარალი დიდია, მეტადრე დახოცილი აფიცრებისა. ჯარის გამოყვანა ციხის ფანჯრიდგან მოგვიხდა. ამ ციხის დაპყრობის შემდეგ იაპონელები ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს დაეპატრონნენ. რამდენსამე დღეს ღა გავძლებთ. ტყვია წამალი თითქმის აღარა გვაქვს. ვეცდები ქუჩებში ხოცვა ჟლეტა არ მოხდეს. სურავანდი ძალიან აზარალებს მეციხოვნე ჯარსა. ეხლა 10 ათასი თოფიანი კაცი-ღა მყავს და ყველანი ავათ არიან. გენერლები ფოკი და ნიკიტინი—ჭეშმარიტი გმირები არიან და თანაშემწენი.

უქვეშევრდომილესი დეპეშა კონსულის ტიდემანისა ჩიფუდგან მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზედ 20 დეკემბერს 1904 წ. მოვიდნენ ნაღმოსნები «ვლასტნი», «სერდიტი» და «სკორი» და ცნობა მოიტანეს—პორტ არტური დღეს დანებდება მტერსაო

**მუკდენი**, 20 დეკ. (საკ. კორესპ.). ლიაოიანის მიდამონი გაამაგრეს იაპონელებმა. ყოველ-დღე 150,000 კაცი მუშაობდა ორის თვის განმავლობაში, ტოკიოში ქარხნები გაჩქარებით ამზადებენ შალეულს ლაშქრისთვის. ბრძოლის ველი დაწყნარებულია.

**მოსკოვი**. მოსკოვ-კურსკის გზაზე დიდი ნამქერია. ორ-ორი მატარებელი უბიათ ვაგონებს, მაგრამ მაინც იგვიანებენ.

**ჩიფუ**, 20 დეკ. (რეიტ.). რუსეთის კონტრ-ნაღმოსნები «სმელი» და «ბოდრი», აგრეთვე სავაჭრო გემი, რომელზედაც 800 ჯარის კაცი იყო, კიაო-ჩაოს მივიდნენ. აქ მოსული რუსთა კონტრ-ნაღმოსნები იარაღ-აყრილ იქმნენ. მხოლოდ მას შემდეგ წავიდნენ აქედან იაპონელთა კონტრ-ნაღმოსნები.—პორტ არტურში 15000 ავადმყოფი და დაჭრილია და 5000 კაცია ისეთი, რომელნიც რჩენაში არიან და გამოდგებიან ბრძოლისათვის, სიმაგრეთა დამცველებად.

**ლონდონი**, 20 დეკ. (რეიტ.). იაპონიის საელჩომ დაჰბეჭდა შემდეგი დეპეშა: „ტოკიო, 20 დეკ. გენ. ნოგი აუწყებს თავის მთავრობას, რომ ტონი, კიკვანშანი და სიმაგრე დასტოვეს რუსებმა და ააფეთქეს. 19 დეკემბერს დილით იაპონელებმა დაიჭირეს სანგრები და მაღლობნი **ნ** და **მ** სიმაგრეთა სამხრეთად. რუსთა თითქმის ყველა გემები, რომლებიც ნავთსადგურში იყვნენ, ააფეთქეს რუსებმა 19 დეკემბერს დილით. იაპონელთა საომარი მოქმედება იმ დილიდანვე შესწყდა მოლაპარაკების გათავებამდე“,

**მინსკი**, 20 დეკ. ნაშუადღევის 4 საათსა და 10 წუთზედ მინსკის სადგურზედ მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს-ძე ამალით. ბობრუისკში დეპუტაციების მიღება აღარ მოჰხდა, რადგან დიდი ტეხვრა და ყინვები იყო—20 გრადუსამდე. იქმნება მხოლოდ ჩვეულებრივი აღლუმი.

**ტოკიო**, 20 დეკ. (რეიტ.). გენ. ნოგიმ გამოჰგზავნა შემდეგი მოხსენება, როცა გენერალმა სტესელმა შეუთვალა დავიწყოთ მოლაპარაკება, თოფ-იარაღს დავყრითო და დაგნებდებითო: „ნაშუადღევს, 5 საათზედ იაპონიის მოწინავე ჯარ-წინ შუიშიინთან გამოჩნდა რუსთა პარლამენტიორი და გადასცა იაპონელ ოფიცრებს წერილი, რომელიც საღამოს 9 საათზე მივიღე. წერილი შემდეგის შინაარსისაა: «რაკი ვითვალისწინებ, რა სიმაგრენიც დაიჭირეთ, კვლავ განგრძობა ციხის დაცვისა უსარგებლო საქმედ მიმაჩნია იმ აზრით, რომ სისხლის ღვრა შესწყდეს და ხალხი სასიკვდილოდ აღარ გაიწიროს, მოგმართავთ, შეუდგეთ მოლაპარაკებას, რა პირობით დაგნებდეთ. თუ თანახმა იყოთ, კეთილ-ინებეთ და დაჰნიშნეთ კომისარები და იმათ მოისაზრონ-რა გზითა და რა პირობით დაგნებდეთ ციხე ან სად შეიყარნენ კომისარები».—დღეს გავგზავნე პარლამენტიორი და შემდეგი პასუხი დავაბარე გენ. სტესელთან: «კერძოდ თქვენის წინადადების პასუხად, რომ რჩეობთ დაგვნებდეთ, პატივისცემით გაუწყებთ კი ჩემ მიერ კომისრად შტაბის უფროსის იჟიმის დანიშვნას. ეს ოფიცერი დაჰხვდება თქვენს კომისარებს 20 დეკემბერს შუადღისას შუიშიინსა. თქვენსასა და ჩვენს კომისარსაც მინდობილი უნდა ჰქონდეთ, ხელი მოაწერონ კაპიტულიაციის კონვენციას (პირობა იარაღის დაყრისა და ციხის დათმობისა) და არ მოუცადონ მის დამტკიცებას, რათა კონვენცია მაშინვე ძალაში შევიდეს. იმ ოქმზედ, რომელთაც მიენდობათ კომისარებს ეს საქმე, ხელი უნდა ეწეროთ პირობით ხელ-შემკვრელთა უმაღლეს სამხედრო მთავრობის წარმომადგენელი».

**ტოკიო**, 20 დეკ. (რეიტ.) ბჭობა პორტ-არტურის კაპიტულიაციის შესახებ დამთავრდა ნაშუადღევს $4^1/_2$ საათზედ. კომისარნი მორიგდნენ იმაზედ თუ რა წესით მოაწერონ ხელი კანონიერად შედგენილს ოქმს. ამბობენ, რომ იაპონელთა პირობა შეწყნარებულ იქმნაო.

**მუკდენი**, 20 დეკ. (საკ. კორესპ.) გუშინ მარჯვენა ფრთეზედ დიდი სროლა იყო ციხის სანგრევ ზარბაზნებისა.

**ჩიფუ**, 21 დეკ. (რეიტ.) დილით წაეკიდა ცეცხლი «რეტვიზანს», «პოლტავას» და «პალადას». ნაშუადღევის შემდეგაც ცეცხლი ეკიდათ ისევ. რუსებმა „სევასტოპოლი“ ააფეთქეს.

**ჩიფუ**, (რეიტ.) 4 აქ მოსულ ნაღმოსანთა გარდა, გუშინ დასტოვეს პორტ არტური ნაღმოსნებმა „სმელიმ“ და «ბოიკიმ», აგრეთვე ტრანსპორტმა ამ გემზედ იყო რვა-ასი დაჭრილი ჯარისკაცი. იმ სამხედრო თათბირზედ, რომელმაც გადასწყვიტა, დავნებდეთო მტერსაო, გადასწყდა ამ გემების წასვლაც. ვირენმა სთხოვა სტესელს, ნება მომეცი გადავარჩინო დაღუპვას ეს გემებიო. სტესელი სიამოვნებით დაეთანხმა და გემები ისე გაიპარნენ ნავთსადგურიდან საღამოს 7—11 საათზედ, რომ იაპონელნი არ შეჰხვედრიან.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“

ს უ რ ა თ ე ბ ი თ

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

**ჟურნალის ფასი**: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება**: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

---

დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან

საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის

სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავალ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

**ადრესი**: ტფილისი, კ. თავართქილაძე. (8—8).

---

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

«ჯეჯილში» მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონის ძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს **4** მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ნახევარი წლით **2** მან. **50** კ. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

---

1905 г. **Таразъ** XVI г.

Художественно-литературно-научно-критическій ежедневный, единственный иллюстрированный на армянскомъ языкѣ журналъ ТАРАЗЪ въ 1905 г. будетъ выходить по той же разнообразной и широкой программѣ, какъ въ прошедшіе XV лѣтъ. *Цѣль, направленіе и стремленіе* ТАРАЗА—распространеніе среди армянъ цравильныхъ взглядовъ на красное, доброе и полезное.

Литература, Наука, Искусство, Воспитаніе, Критика составляютъ основу журнала ТАРАЗЪ Газетные отдѣли ТАРАЗА—Правит. распоряженія, Телеграммы, Корреспонденціи со всѣхъ угловъ Кавказа, Закавказа, Закаспійскаго края, равно съ умствен. промыш. центровъ Имперіи, заграницы и пр. дѣлаютъ ТАРАЗЪ необходимымъ органомъ печати для всѣхъ слоевъ общества, а отдѣлы Гигіены, Развлеченій, Домашняго Хозяйства, Модъ, Музыки и т. д.—популярнымъ изданіемъ во всѣхъ семействахъ. Годовая плата ТАРАЗА съ пересылкою и доставкою 6 р., заграницу 10 р. Отдѣльные №№ 20 к. Подписчикъ ТАРАЗА, который выпишетъ и ежемѣсячн. жур. АГБЮРЪ, доплачивая 1 р. получитъ премію.

Адресъ: тифлисъ, Редакція жур. ТАРАЗЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de la Revue TARAZ

Редакторъ-издатель Т. R. Назарьянъ

1905 г. **Агбюръ** XVI г.

Иллюстрированный на армянскомъ языкѣ, единственный журналъ АГБЮРЪ для *дѣтей, родителей и наставниковъ*

Задача журнала АГБЮРЪ—*правильное воспитаніе и обученіе подрастающаго поколенія, любовь къ природѣ, наукѣ и къ ближнему.* Богатая программа журнала АГБЮРЪ даетъ полную возможность редакціи широко и многосторонне обхватывать вопросы, интересующіе подрастающее поколеніе и ихъ родителей—наставниковъ. Годовая плата жур. АГБЮРЪ 3 р., заграницу 5 р *Премію* получаютъ лишь тѣ изъ подписчиковъ АГБЮРА, которые одновременно запишутся и на *художественно-литературъ еженедѣльный нашъ жур. ТАРАЗЪ.*

Адресъ: Тифлисъ. Редакція жур. АГБЮРЪ.

Tiflis, Caucase, R daction de la Revue AGBUR.

Редакторъ-издатель Т. Я. Назарьянъ

Дозволено цензурою Тифлисъ, 21 декабря, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи